



EEU

სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების წესი



*დამტკიცებულია: უნივერსიტეტის რექტორის  
2019 წლის 15 თებერვლის №11/01-08 ბრძანებით*

*განახლებულია: უნივერსიტეტის რექტორის  
2020 წლის 27 ივლისის №14/01-08 ბრძანებით*

## შინაარსი

|                                                                       |    |
|-----------------------------------------------------------------------|----|
| მუხლი 1. ზოგადი დებულებები .....                                      | 3  |
| მუხლი 2. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების პრინციპები ..... | 3  |
| მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება .....                                  | 4  |
| მუხლი 4. კონკურსის ეტაპები .....                                      | 4  |
| მუხლი 5. მონაწილეობის უფლების მქონე სუბიექტები .....                  | 5  |
| მუხლი 6. საგრანტო პროექტის განაცხადი.....                             | 5  |
| მუხლი 7. საგრანტო კომისია.....                                        | 6  |
| მუხლი 8. საგრანტო კომისიის უფლებამოსილება .....                       | 6  |
| მუხლი 9. საგრანტო კომისიის მუშაობის რეგლამენტი .....                  | 7  |
| მუხლი 10. საგრანტო კომისიის წევრის აცილების საფუძველი .....           | 8  |
| მუხლი 11. საგრანტო პროექტის განხილვა და შეფასება .....                | 8  |
| მუხლი 12. საგრანტო კომისიის გადაწყვეტილება .....                      | 9  |
| მუხლი 13. საგრანტო ხელშეკრულება .....                                 | 10 |
| მუხლი 14. ანგარიშგება და პროექტის შესრულების მონიტორინგი .....        | 10 |
| მუხლი 15. დასკვნითი დებულებები .....                                  | 11 |

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) „სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების წესი“ (შემდგომში - „წესი“) არეგულირებს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წესსა და პროცედურებს.
2. წესის მიზანია უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა და უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის სრულად გამოყენებისა და ჯეროვანი განვითარებისთვის ხელი შეუწყოს მკვლევართა საერთაშორისო აქტუალურ სამეცნიერო პროექტებში ინტეგრაციის, მეცნიერებაში ნიჭიერი და მოწადინებული ახალგაზრდების მოზიდვის წახალისების შიდა საუნივერსიტეტო პროცესებს.

### მუხლი 2. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების პრინციპები

1. უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: საჯაროობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, თანასწორობა და კოლეგიურობა.
2. **საჯაროობა** - სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსების მიზნით გამოცხადებული კონკურსი ცხადდება საჯაროდ და უნივერსიტეტის ბევ-გვერდზე ქვეყნდება კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია და პირობები.
3. **გამჭვირვალობა** - სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსების მიზნით გამოცხადებული კონკურსის შესახებ ინფორმაცია, შედეგები ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის.
4. **სამართლიანობა** - სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსება ხდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე;
5. **თანასწორობა**- სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსებისას გამოირიცხება ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია და ყველა პროექტი იმყოფება თანაბარ პირობებში;
6. **კოლეგიურობა** - სამეცნიერო-კვლევითი პროექტი დაფინანსების გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია კოლეგიურად.

### მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

1. სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაფინანსება ხდება უნივერსიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში.
2. უნივერსიტეტის მიზნებისა და კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე რექტორის ბრძანებით ცხადდება სამეცნიერო კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსი (შემდგომში - „საგრანტო კონკურსი“).
3. კონკურსის გამოცხადების ბრძანებით უნდა განისაზღვროს საგრანტო კონკურსის შემდეგი პირობები:
  - ა) კვლევის პრიორიტეტული მიმართულებები;
  - ბ) საგრანტო კონკურსის ჯამური ბიუჯეტი;
  - გ) საგრანტო პროექტის მინიმალური და მაქსიმალური ბიუჯეტი;
  - დ) საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა;
  - ე) საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე სუბიექტები და პირობები;
  - ვ) საკონკურსო დოკუმენტაცია, წარმოდგენის ვადები და წესი;
  - ზ) საგრანტო პროექტის შეფასების წესი და კრიტერიუმები;
  - თ) საგრანტო კონკურსის ვადები;
  - ი) დამატებითი პირობები (საჭიროების შემთხვევაში).
4. საგრანტო კონკურსის შესახებ სრული ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

### მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

- საგრანტო კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
- ა) საგრანტო პროექტების მიღება;
  - ბ) საგრანტო პროექტების განხილვა კომისიის მიერ;
  - გ) საგრანტო პროექტების შეფასება;
  - დ) გამარჯვებული პროექტების გამოვლენა;
  - ე) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება;
  - ვ) საგრანტო პროექტის შესრულების მონიტორინგი.

**მუხლი 5. მონაწილეობის უფლების მქონე სუბიექტები**

1. საგრანტო პროექტი შესაძლებელია წარდგენილ იქნეს:
  - ა) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.
  - ბ) უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ;
  - გ) უნივერსიტეტის კვლევითი ერთეულის/ერთეულების მიერ.
2. სხვა დაწესებულების თანამშრომლის მონაწილეობა პროექტში შესაძლებელია, თუმცა მას უნივერსიტეტი არ დააფინანსებს. ამ შემთხვევაში პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ერთობლივი სამეცნიერო კვლევის განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან თანადაფინანსებით;
3. ერთ პიროვნებას ერთზე მეტ პროექტში მონაწილეობა არ შეუძლია;
4. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე სუბიექტები განისაზღვრება ყოველ ჯერზე წინამდებარე წესის შესაბამისად კონკურსის გამოცხადების ბრძანებით.

**მუხლი 6. საგრანტო პროექტის განაცხადი**

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უფლებამოსილმა სუბიექტებმა დადგენილ ვადებში უნდა წარმოადგინონ საგრანტო პროექტის განაცხადი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, რომელიც განსაზღვრულია საგრანტო კონკურსის გამოცხადების ბრძანებით,
2. საგრანტო პროექტის განაცხადის ზოგადი მოთხოვნებია:
  - ა) კვლევითი პროექტის აქტუალობა მკაფიოდ უნდა იყოს დასაბუთებული;
  - ბ) პროექტი უნდა იყოს დაყოფილი ეტაპებად და ახლდეს მისი განხორციელების გეგმა-გრაფიკი;
  - გ) პროექტი უნდა მოიცავდეს სავარაუდო შედეგებსა და მათ პრაქტიკულ მნიშვნელობას;
  - დ) პროექტს უნდა ჰყავდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც პასუხისმგებელია როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;
  - ე) პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს და არ უნდა იყოს ექვს თვეზე ნაკლები.
  - ვ) საგრანტო განაცხადს თან უნდა ახლდეს პროექტის დეტალური ბიუჯეტი და დასაბუთება. ბიუჯეტი უნდა შედგებოდეს საშემოსავლო და სახარჯო ნაწილებისაგან და დეტალურად ასახავდეს შემოსავლის წყაროებსა და დანახარჯების მუხლებს. საშემოსავლო ნაწილში

წარმოდგენილი უნდა იყოს უნივერსიტეტისაგან მოთხოვნილი თანხა და პარტნიორისაგან მისაღები ფინანსები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ზ) წარმოდგენილ ბიუჯეტში მკაფიოდ უნდა იყოს გამოყოფილი პროექტის განხორციელების ეტაპების მიხედვით მოთხოვნილი თანხა, რომელიც ნაწილ-ნაწილ გადაერიცხება მონაწილეებს ყოველი ეტაპის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მათ მიერ წარდგენილი პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშების და კომისიის დადგენილებების საფუძველზე.

### მუხლი 7. საგრანტო კომისია

1. კონკურსის სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარების მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება სამეცნიერო კვლევების საგრანტო კომისია (შემდგომში - „საგრანტო კომისია“).
2. საგრანტო კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 10 წევრისგან. საგრანტო კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდეს უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, პერსონალი, რომელსაც აქვს დარგის სიღრმისეული ცოდნა, შესაბამისი სამეცნიერო და კვლევითი პროექტების განხორციელების ან/და ადმინისტრირების გამოცდილება.
3. საგრანტო კომისიის შემადგენლობაში, ასევე შესაძლებელია შედიოდეს მოწვეული პირი, დარგის ექსპერტი.
4. საგრანტო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის საქმისწარმოებას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს კომისიის შემადგენლობიდან განსაზღვრავს რექტორი ბრძანებით.

### მუხლი 8. საგრანტო კომისიის უფლებამოსილება

საგრანტო კომისია დადგენილი პირობებისა და პროცედურების დაცვით უზრუნველყოფს საგრანტო კონკურსის ადმინისტრირებას. კერძოდ:

- ა) იღებს საგრანტო პროექტების განაცხადებს თანდართული დოკუმენტებთან ერთად;
- ბ) ამოწმებს საგრანტო პროექტისა და თანდართული დოკუმენტების ფორმალურ შესაბამისობას საგრანტო კონკურსის დადგენილ პირობებთან;
- გ) განიხილავს და აფასებს საგრანტო პროექტებს დადგენილი კრიტერიუმების თანახმად.

- დ) გამოავლენს გამარჯვებულ პროექტებს და წარუდგენს რექტორს შემდგომი რეაგირებისთვის;
- ვ) ახორციელებს დაფინანსებული საგრანტო პროექტის შესრულების მონიტორინგს, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტთან კოორდინაციით.

### მუხლი 9. საგრანტო კომისიის მუშაობის რეგლამენტი

1. საკონკურსო კომისია მუშაობს საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
2. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3.
5. საგრანტო კომისია პირველ სხდომაზე ეცნობა წინამდებარე წესსა და გამოცხადებული საგრანტო კონკურსის პირობებს.
5. კომისია თავისი საქმიანობის ფარგლებში გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრის წესით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში საკითხს კენჭი ეყრება თავიდან. განმეორებით კენჭისყრაზე ხმების კვლავ თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
6. საგრანტო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის ოქმებში, რომელთაც ადგენს კომისიის მდივანი და ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის ყველა წევრი კომისიის სხდომაში მონაწილეობის მიღებას ადასტურებს სხდომაზე დასწრების ფურცელზე ხელმოწერით, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ოქმის განუყოფელ ნაწილს. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაუროს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
7. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.
8. საკონკურსო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგების დამტკიცებამდე.
9. კომისიის საქმიანობის ის პროცედურული საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია, დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც



ექვემდებარება საჯარო გამოქვეყნებას).

#### მუხლი 10. საგრანტო კომისიის წევრის აცილების საფუძველი

1. საგრანტო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, თუ ის:
  - ა) თავად მონაწილეობს საგრანტო კონკურსში, ან რომელიმე მონაწილესთან აკავშირებს ნათესაური/ სხვა სახის ახლო კავშირი;
  - ბ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აქვს კავშირი საგრანტო კონკურსში წარდგენილ საგრანტო პროექტებთან ან/და დაინტერესებულია კონკურსის/პროექტის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ექვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში;
2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, საგრანტო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართოს რექტორს. საგრანტო კომისიის საჭიროების შემთხვევაში რექტორი უფლებამოსილი ბრძანებით განსაზღვროს კომისიის ახალი წევრი.

#### მუხლი 11. საგრანტო პროექტის განხილვა და შეფასება

1. საგრანტო პროექტების მიღებისთვის დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ კომისია ამოწმებს წარმოდგენილ საგრანტო განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან.
2. იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი პროექტი ან/და თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება საგრანტო კონკურსით დადგენილ პირობებს ან/და არასრულად არის წარმოდგენილი საგრანტო კომისია იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო პროექტის კონკურსიდან მოხსნის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლენილი ხარვეზი არ არის არსებითი საგრანტო კომისია უფლებამოსილია დაადგინოს გონივრული დამატებითი ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. დადგენილ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში საკონკურსო პროექტი განხილულ იქნება კონკურსის შემდეგ ეტაპებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოიხსნება კონკურსიდან.
3. საგრანტო კომისია განიხილავს საგრანტო პროექტებს და აფასებს მათ შვიდი კრიტერიუმის მიხედვით:
  - ა) ჩასატარებელი კვლევის აქტუალობა;



- ბ) პროექტის ბიუჯეტის ჩასატარებელ კვლევებთან შესაბამისობა;
  - გ) პროექტისთვის განსაზღვრული დროის ჩასატარებელ კვლევებთან შესაბამისობა;
  - დ) პროექტის მოსალოდნელი შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა;
  - ე) პროექტში მონაწილე პირების პროფესიული გამოცდილება;
  - ვ) სხვა დონორებისაგან მოზიდული ფინანსების მოცულობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
  - ზ) წარმატებულ სამეცნიერო ჯგუფებთან თანამშრომლობა.
4. საგრანტო კონკურსის გამოცხადების ბრძანებით შესაძლოა დადგინდეს საგრანტო პროექტის შეფასების წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტისგან განსხვავებული კრიტერიუმები.
  5. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შესაფასებლად შეიძლება გადაეცეთ დამოუკიდებელ ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დარგობრივ ექსპერტს/ექსპერტთა ჯგუფს, რომელსაც საგრანტო საკონკურსო კომისიის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.
  6. კომისია უფლებამოსილია საგრანტო პროექტების შეფასების მიზნით გაესაუბროს საგრანტო პროექტის განაცხადის წარმდგენ სუბიექტებს.
  7. კომისია უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

## მუხლი 12. საგრანტო კომისიის გადაწყვეტილება

1. საკონკურსო კომისიის წევრები ვალდებული არიან მიიღონ სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.
2. საგრანტო კომისიის გადაწყვეტილება გამარჯვებული საგრანტო პროექტების გამოვლენის შესახებ უნდა ეყრდნობოდეს წინამდებარე წესს, საგრანტო კონკურსის დამტკიცებულ პირობებს, საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივ აქტებს.
3. საგრანტო კომისიის გადაწყვეტილება საგრანტო კონკურსის გამარჯვებული საგრანტო პროექტების გამოვლენის შესახებ ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით.
4. საგრანტო კომისიის თავმჯდომარე შუამდგომლობით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, საგრანტო კონკურსის გამარჯვებული საგრანტო პროექტების

დაფინანსებისთვის.

5. საგრანტო კომისიის გადაწყვეტილება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ეცნობება ყველა კონკურსანტს.

### მუხლი 13. საგრანტო ხელშეკრულება

1. კონკურსის შედეგად დასაფინანსებლად შერჩეული საგრანტო პროექტების დამტკიცების შემდეგ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გრანტის მიმღებთან - პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.
2. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შეთანხმებას პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების უფლების განაწილების შესახებ საქართველოსა და პარტნიორის ქვეყნის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება ტრანშების სახით. გრანტის თანხები გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ ანგარიშზე ავანსის სახით. პირველი ტრანში გადაირიცხება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ყოველი მომდევნო ტრანში გადაირიცხება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის შუალედური ანგარიშების განხილვის საფუძველზე.
4. გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.
5. ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არა უგვიანეს 30 დღით ადრე პროექტის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნით საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილება საგრანტო კომისიის თანხმობით.

### მუხლი 14. ანგარიშება და პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად უნივერსიტეტის საგრანტო კომისიას წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და

გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში.

2. საგრანტო კომისია ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს, რომლის დროსაც განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.
3. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:
  - ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში კომისიის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.
  - ბ) პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას „პროექტით განსაზღვრული კვლევის შედეგების ამსახველი მასალის“ შესაბამისად.
4. საანგარიშო პერიოდი განისაზღვრება ერთი წლით.
5. პროექტის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ქმედებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.
6. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ მის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ყველა თანხაზე პროექტის დახურვის მომენტში წარდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

#### მუხლი 15. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.
2. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შეაქვს და მას ძალადაკარგულად აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.